

ნიკოლოზ რურუა

50 ალბომით  
შემოკარული  
თავისუფლება



გამომცემლობა არტანუჯი  
თბილისი

## **თან საკითხავი**

**17**

სერიის მთავარი რედაქტორი  
ბუბა კუდავა

კორექტორი  
ირმა ჩინჩალაძე

დამკაბადონებელი  
ვლადიმერ პერანიძე

გარეკანის დიზაინერი  
ილია ხელაია

ISSN 2587-4993

ISBN 978-9941-478-06-2

© გამომცემლობა „არტანუჯი“, 2018

მოგეხსენებათ, როგორ უჭირთ ადამიანებს დღეს  
კითხვა.

დაძაბული გრაფიკი, ცხოვრების ჩქარი რიტმი, ცოტა  
დრო, ბევრი საფიქრალი, ინფორმაციის მიღების  
მრავალი სხვა საშუალება...

არადა, ბევრს უყვარს კითხვა და ბევრს აქვს  
მოთხოვნილება იკითხოს.

გამომცემლობა „არტანუჯის“ ახალი სერია –  
**თან საკითხავი** ერთგვარი გამოსავალია ამ  
საყოველთაო უდროობის დროს.

დიახ, თან-საკითხავი.

საკითხავი „სხვათა შორის“, საკითხავი  
თანდათანობით, სვენება-სვენებით თუ ერთი  
ამოსუნთქვით. საკითხავი კეთების პარალელურად.  
ადვილი და საინტერესო საკითხავი. საკითხავი  
დასვენებისას, მგზავრობისას, თუნდაც მუშაობისას.

საკითხავი ავტობუსში, მანქანაში, თვითმფრინავში,  
მატარებელში...

საკითხავი ჰამაკში, პლაჟზე, ჯდომისას თუ წოლისას,  
საკითხავი ისე, ნებისმიერ დროს და ნებისმიერ  
ვითარებაში. საკითხავი მათთვის, ვისაც მოსწონს  
წიგნებისთვის „თვალის გადავლება“, ვისაც უყვარს  
კითხვა აქა-იქ თვალის ჩაკვრით და ვისაც არ  
იზიდავს ვრცელი და გაბმული ტექსტები.

თითოეულ გამოცემაში ერთი საინტერესო თემისა  
თუ პიროვნების შესახებ შეკრებილი, გასაგები  
და უშუალო ენით დაწერილი, მცირე მოცულობის  
ძალზე საინტერესო „ამბები“ მოიყრის თავს. ეს  
ნაწილები არ იქნება ერთმანეთზე გადაბმული და  
დამოკიდებული.

ასე, ნაკვეს-ნაკვეს კითხვა ხომ წიგნის ნებისმიერი  
ნაწილიდან შეგვიძლია დავიწყოთ და ნებისმიერ  
დროს შევწყვიტოთ, ნებისმიერ დროს განვაახლოთ  
და შემდეგ ნელ-ნელა ჩავამთავროთ. ან არც  
ჩავამთავროთ... ☺

ესეც სერიის მეჩვიდმეტე წიგნი!..

„მუსიკოსი შეიგრძნობს, რომ ბგერების საკვირველი  
სამყარო – ყველაზე საკვირველი ხელოვნების ყველა  
სამყაროს შორის – მუდამ მის ძებნაშია,  
მას ელიან მელოდიები და დისონანსები“.

**ხორხე ლუის ბორხესი. „სიბრმავე“.**  
(ლექციების კურსიდან „შვიდი საღამო“).



## **შესავალი:**

„თანამედროვე ამერიკული მუსიკა.  
ნეორტილი“.

რონალდ რეიგანი, ტერმინ „ბოროტების იმპერიის“ ავტორი და ძვლებზე აშენებული სუპერსახელმწიფოს დამშლელი პრეზიდენტი ამბობდა: „თუ ამერიკის შეერთებული შტატები კაცობრიობას რამით დაამახსოვრდება, ეს იქნება კონსტიტუცია, ბეისბოლი და ჯაზი“. ბეისბოლის რა გითხრათ, მაგრამ კონსტიტუციისა და ჯაზის გამო ამერიკა მართლა ყველას დაამახსოვრდა: კონსტიტუციისა იმიტომ, რომ ის დროში ყველაზე გამძლე და ადამიანის თავისუფლებაზე ორიენტირებული დოკუმენტი გამოდგა, და ჯაზისა იმიტომ, რომ ამ უნიკალურმა არტ-ფორმამ სერიოზულ მხატვრულ ღირებულებასთან ერთად მნიშვნელოვან სოციალურ და პო-

ლიტიკურ ცვლილებებს დაუდო სათავე – ამერიკა-შიც და, როგორც გაირკვა, დანარჩენ მსოფლიოშიც.

ამერიკელი პუბლიცისტი და ჯაზის ერთ-ერთი საუკეთესო კრიტიკოსი ნატ ჰენტოფი ჯაზს „უფლებათა ბილის“ პირველ ჩასწორებას – სიტყვის და გამობატვის თავისუფლების გარანტიას ადარებდა. „ჯაზი პირველი ჩასწორებიდან გამომდინარეობს და შინაარსითაც ასეთია – იგი ის თავისუფლებაა, რომლიდანაც დღეს ყველა დანარჩენი სახელოვნებო უფლება იღებს სათავეს“.

ძნელია არ გაგაკვირვოს ასეთმა მოულოდნელმა, მაგრამ ზუსტმა ფორმულირებებმა, იქნება ეს გამბედავი რეიგანის თუ „ჭკუისკოლოფი“ ჰენტოფის შემთხვევაში.

თუმცა, ჯაზის „დამფუძნებელ მამათაგან“ უდავოდ ანგარიშგასაწივე მუსიკოსი დიუკ ელინგტონი არასდროს იყენებდა სიტყვას „ჯაზი“. „ნუ გაიხვევთ თავს შარში რაღაც კატეგორიების დადგენით – მაგალითად, იმის ძიებაში, თუ რაა „მოდერნ-ჯაზი“. ეს ტერმინი არაფერს არ ნიშნავს. ჯობს დააკვირდეთ ადამიანს, ვინც ამ მუსიკას უკრავს. ნუ გააანალიზებთ ნურაფერს, როცა უსმენთ; მთლიანად მოუსმინეთ თემას, შეუშვით გულში და შეიძლება მიხვდეთ, რაზეა ეს ყველაფერი“.

ჯაზის უდიდესი ბას-გიტარისტი, ჯაკო პასტორიუსიც, კითხვაზე, რა მუსიკას უკრავდა ის, მკვახე

პასუხს იძლეოდა: „ესაა თანამედროვე ამერიკული მუსიკა. ნერტილი“.

რაც არ უნდა იყოს ეს მუსიკა, რაც არ უნდა უწოდონ მას მძიმეწონოსანმა ბიძიებმა, ამოცანის გაიოლებისთვის მას აქ მაინც ჯაზი დავუძახოთ. (თუმცა ამ მიმოხილვაში არის არაჯაზური მუსიკის – პოპის, ბლუზის, როკის ალბომებიც).

დღემდე მახსოვს, პირველად როგორ დავინახე ჯაზური მუსიკა. დავინახე, და არა მოვისმინე.

ეს მოხდა თბილისის ახლადდაარსებულ ჯაზ-ფესტივალზე, 1978 წელს, ფილარმონიის მცირე დარბაზში (ახლანდელ კინოთეატრ „ამირანში“) ათი წლის ასაკში მამაჩემთან ერთად: დღესაც მახსოვს, რა შთაბეჭდილება მოახდინა სცენიდან სიგარეტის ნისლში გახვეულმა (მაშინ კონცერტებზეც ეწეოდნენ) აბრჭყვიალებულმა ინსტრუმენტებმა – ყვითლად მზინავმა საქსოფონებმა, პლასტიკის მოელვარე სინთეზატორებმა, მუქი ხის კონსტრუქციებმა, ჭრელმა დასარტყამმა ინსტრუმენტებმა და მუსიკოსების სცენაზე ასვლა-ჩასვლამ; ასევე, ეკრანზე გაშვებულმა ფერადმა დოკუმენტურმა ფილმმა „Jazz on a Summer Day“ – ნიუპორტის ჯაზ-ფესტივალზე გადაღებულმა (და სავარაუდოდ) საუკეთესო ფილმმა ჯაზის შესახებ.

არაფერს ნაცნობს ეს არ ჰგავდა – სურათი უფრო არაამქვეყნიური სამყაროს ნაწილად მეჩვენა –



ნახევრად რეალურ, მაგრამ ძალიან დამაჯერებელ, ერთიან, მომხიბლავ მიზანსცენად. ასეთი იყო ჩემი პირველი შეხვედრა ჯაზთან – როგორც ვთქვი – უფრო ვიზუალური, ვიდრე ხმოვანი. მყისიერად ვიგრძენი, რომ რაღაც ძალიან მნიშვნელოვანს შევესწარი.

ჯაზურმა მუსიკამ ამერიკაში გასული საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისიდან კულტურულ რევოლუციას მოუმზადა საფუძველი. ჯაზმენებმა სწორედ ამ პერიოდიდან თქვეს უარი „გამართობების“ როლზე, რომლებიც რესტორნებში თეთრკანიანი აუდიტორიისთვის უკრავდნენ. უცებ, ყველასთვის მოულოდნელად და ხმამაღლა განაცხადეს – „ამიერიდან იცოდეთ, რომ ჩვენ არტისტები ვართ, ვინც ძალიან სერიოზულ ხელოვნებას ემსახურება“. თუ გავითვალისწინებთ, რომ რასობრივი სეგრეგაცია იმ დროის ამერიკაში ჯერ ისევ ბობოქრობდა, ეს თავხედობამდე გამბედავი განაცხადი იყო. მაგრამ ის გაკეთდა.

ამ მომენტიდან იწყება მთელი ჯაჭვი ჯაზური მუსიკის ელვისებური განვითარებისა, რასაც შედეგად ბევრი სხვა რამ მოჰყვა – მაგალითად, „ბიტნიკების“ ლიტერატურა, ჰიპები თავიანთი სექსუალური რევოლუციითა და როკ-მუსიკით. თუმცა, ეს უცნაური და საინტერესო „გვერდითი“ მოვლენები ცალკე საუბრის თემაა.

ახლა კი ორიოდ სიტყვით შევეხოთ იმ ფენომენის გავლენასაც, რომელსაც პოლიტიკური მეცნიერების წარმომადგენლებმა სულ ცოტა ხნის წინ უპოვეს სახელი – ე. წ. „რბილი ძალა“.

დასავლურმა „რბილმა ძალამ“ – იქნებოდა ეს ამერიკული ჯაზი თუ კინემატოგრაფია, ლიტერატურა თუ როკ-ენ-როლი – ჯერ საბჭოთა იდეოლოგიის გაშიშვლება და მერე კი აღსასრული დააჩქარა; მან მორიგ ჯერზე დაამტკიცა, რომ „ხე ნაყოფით გამოიცნობა“ – ანუ საბჭოეთში მცხოვრებთათვის ნათელყო, რომ დასავლური სისტემა, თავისუფალი ბაზრითა და სიტყვის თავისუფლებით, კაპიტალიზმითა და კერძო საკუთრებით უფრო ღირებულ შედეგს ქმნიდა, ვიდრე მარქსისტულ-ლენინისტური სოციალიზმი მისი ხუთწლედებით, „გმირი დედებითა“ და მონინავე მწველავებით. თავისუფალი სამყაროს ეს „ნაყოფი“ ყველაზე დამარწმუნებელი არგუმენტი აღმოჩნდა იმის გასაგებად, რომელი იდეოლოგია ჯობდა სუპერსახელმწიფოთა ჭიდილში – სოციალისტური თუ კაპიტალისტური, კომუნისტური თუ დემოკრატიული.

ამ წიგნში სხვადასხვა მუსიკალური ალბომის დახასიათებასთან ერთად მსურს მოვყვე – რას ნიშნავდა საბჭოთა ყოველდღიურობაში ჩვენთვის ამერიკული ფირფიტა, ვინილი, როგორც ნივთი; ბარემ ვიტყვი: ახალგაზრდებში – ერთგვარი სტატუსის სიმბოლოს; ანუ ბევრად მეტს, ვიდრე მხო-

ლოდ მუსიკას – რაღაცას, რაც გამოგარჩევდა მასებიდან და ცხოვრების ოფიციალური ვერსიის სინაცრისფრისაგან, რომელიც ჰაერსაც კი ამ ფერს აძლევდა.

ერთი შეხედვით, რა უაზრობაა მუსიკის სიტყვებით აღწერა. მაგრამ მხოლოდ ერთი შეხედვით. თუ დავფიქრდებით – სულაც არა. მუსიკაც ამბების ისეთივე კრებულია, როგორც, მაგალითად, კინოა – ვიზუალური ლიტერატურა; მუსიკა კიდევ უფრო აბსტრაქტული, ფანტაზიისთვის მეტი გაქანების მიმცემი რამ არის, ვიდრე ნებისმიერი სხვა მედიუმი – ერთგვარი ბგერითი იმიჯების ერთობა. ამიტომაც, შეიძლება ითქვას, რომ მუსიკაც ბგერითი ლიტერატურაა, რომელიც რაღაცას გადმოსცემს, ჰყვება. და თუ მას ასე შევხედავთ, მაშინ მოსმენილის სიტყვებით აღწერა სრულიად შესაძლებელი ხდება.

აქ იმ 50 ალბომის და თანმდევი ამბების ჩამონათვალია (რომლებიც ძირითადად სსრკ-ს დროს მოვისმინე ან შევიძინე) და რომლებმაც ჩემზე რაღაც კვალი დატოვა. რევიუების თანმიმდევრობა არ არის ქრონოლოგიური – უფრო განწყობის და მეხსიერების მიხედვითაა დალაგებული, ვიდრე წლების. მინდა, რომ მუსიკალური ამბების ამ კრებულმა თუნდაც ერთ მკითხველს მოანდომოს მათთან შეხვედრა.

ასე რომ, საქმეზე გადავიდეთ:

## 1.

### **DUKE ELLINGTON „THE ELLINGTON SUITES“**

ელინგტონის მუსიკის ხასიათი, ტრადიციული ტერმინებით მისი შეფასების გარდა, როგორცაა ბლუზი და სვინგი, ჩემთვის ორგვარია: ჰარლე-მურ-განგსტერული და მონარქიულ-ცერემონიული. ელინგტონს უყვარდა გამეორება – „მე და ჩემი ორკესტრი მეფეებისთვის ხშირად ვუკრავდით“. როგორც ჩანს, ეს ის დროა, როცა ჯაზმენებს,



Atlantic © 1971

თუნდაც ელინგტონისნაირებს, ამერიკული ძალაუფლების ცენტრებში ხშირად არ პატიუებენ (თუმცა, მოგვიანებით მან სხვადასხვა პრეზიდენტის მიწვევით რამდენიმე კონცერტი გამართა თეთრ სახლში).

ასეა თუ ისე, ელინგტონი თავის მეტსახელთაგან ერთს – the King-ს ანუ მეფეს, ყველა დროში ამართლებდა: 30-იან წლებში, როდესაც „კოტონ ქლაბში“ განგსტერებისა და ბუტლეგერების წინაშე უკრავდა, 40-იან წლებში, როდესაც ამერიკელ ჯარისკაცებს მძიმე, დაუნდობელ ომში ამხნევებდა, 50-იანებში, როცა „ცივი ომის“ გამო სახელმწიფო დეპარტამენტის პროგრამით მსოფლიოში ამერიკის იმიჯის ასამაღლებლად მოგზაურობდა, და ცხოვრე-

ბის ბოლოს – როცა ჯაზის უპირობო პატრიარქად იქნა აღიარებული. ისეთი პრეტენზიული შემფასებლებიც კი, ვინც მის შემდეგ თაობას ეკუთვნის, როგორც მაილს დევისი ან ჯო ზავინულია, კითხვაზე, თუ ვინ იყო მათი აზრით ყველაზე მნიშვნელოვანი ჯაზმენი, დაუფიქრებლად პასუხობდნენ: **the King**. ანუ მეფე. ანუ დიუკ ელინგტონი.

ამ ალბომზე – „New Orleans Suite“ – ელინგტონი ნიუ ორლეანში მუსიკალურ ექსკურსიას გვიტარებს, როგორც მსოფლიოს სამუზეუმო გიდებს შორის საუკეთესო. რატომ ნიუ-ორლეანში? იმიტომ, რომ ყველაფერი აქ დაიწყო – ეს ქალაქი ჯაზის აკვანია, როგორც, მაგალითად, საქართველო – ღვინის.

ალბომი ბლუზით იწყება, როგორც მინიშნება, რომ ჯაზის ფესვები ბლუზიდანაა ამოზრდილი; შემდეგ კი დიდი ჯაზმენების პორტრეტებით გრძელდება – ლუი არმსტრონგის პორტრეტი, უელმან ბრაუდის პორტრეტი, სიდნი ბეშეს, ჟან ლაფიტის, მაჰალია ჯექსონის პორტრეტი – კომპოზიციებს პირდაპირ ასეთი სათაურები აქვთ და თითოეულ მათგანში ავტორი თითოეული ამ მუსიკოსის ზუსტ, ინტიმურ მუსიკალურ სახეს, ნიუანსებს, სტილისტურ მიდრეკილებებს აღწერს. ეს მიძღვნა მათდამი ქედის მოხრის, პატივისცემის გარდა დიუკის კიდევ ერთ თვისებას ცხადყოფს – ის ძალიან თავმდაბალი, გულუხვი გენიოსია, ვისაც არა მარტო არ უჭირს სხვების აღიარება, არამედ ამას შეგნებულად აკე-

თებს – თან არა მხოლოდ სიტყვებით, არამედ უმაღლესი ხარისხის მხატვრული ნიმუშებით.

ელინგტონს თვალეპქვემ სპეციფიკური, გამობერილი ქუთუთოები ჰქონდა, რომელზეც ერთხელ, ტელეინტერვიუში ჟურნალისტმა საკმაოდ უტაქტო კითხვა დაუსვა: „ეს პარკუჭებივით ქუთუთოები თვალეპქვემ რაზე მიანიშნებს, დიუკ?“ „ეს აკუმულირებული სიკეთეა, ძვირფასო“. ეს პასუხი მთლიანად ელინგტონს, მთელ მის არსებასაც ესადაგება – ის თვითონ იყო აკუმულირებული სიკეთის ცოცხალი მაგალითი, ვინც ჯაზის ხელოვნება არა მარტო მანამდე არნახულ ხარისხში აიყვანა, დატოვა უამრავი ჩანანერი, კიდევ უფრო მეტი კონცერტი შინ თუ გარეთ – მთელი მსოფლიოს მასშტაბით, არამედ ჯაზი გლობალურ ფენომენად აქცია.

ჯო ზავინულის ალბომი „My People“ ელინგტონთან ინტერვიუს ნაწყვეტით იწყება, სადაც ის ამბობს: „რომელია „ჩემი“ ხალხი? რომელ ჯგუფზეა აქ ლაპარაკი? მე რამდენიმე ჯგუფს ვეკუთვნი – მაგალითად, პიანისტების ჯგუფს; მაგრამ მათზე ვერ ვიტყვოდი, რომ მხოლოდ ისინი არიან „ჩემი“ ხალხი; საერთოდ, უფრო სწორია ვთქვა არა „ჩემი“ ხალხი, არამედ – ხალხი. ზოგადად ხალხი. ესაა „ჩემი“ ხალხი – ადამიანები“.

ამ ალბომს რომ მოუსმენთ, მიხვდებით, რომ ის „თავის ხალხში“ ყველას გვეგულისხმობს.